№ 135 ივნისი 29, ოთხშაბათი 1888 ივნისი 29, ოთხშაბათი № 135

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ივლისს

გაზეთი „ივერია“ პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 28 ივნისი

ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა ერთა და სახელმწიფოთა შორის ჩამოვარდება ნდობა და სიყვარული, გამეფდება საკაცთმოყვარეო ურთიერთობა და კაცობრიობის წარმატებას აღარ დაუშლის ისეთი გრძნობა და ანგარიში, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცი კაცს მგელივით უნდა მოექცეს, კრებული კრებულს არ უნდა ენდობოდეს, ერი ერს და სახელმწიფო სახელმწიფოს ყურადღებით უნდა შეჰყურებდეს, აცა მეზობელმა არა მიხიმანოს-რა, ფეხი არ გამომდოს და არ დამღუპოსო.

აბა რომელი ერი და სახელმწიფოა საფრანგეთსა და ინგლისზედ წინ წასული და წარმატებული, რომელი ერია იმათსავით ძლევამოსილი და განდიდებული, მაგრამ ამ ორის ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობაც-კი ჯერ ვერ ასცილებია იმ სამარცხვინო ურთიერთობას, რომელსაც ჰბადავს მხოლოდ შური, უნდობლობა, უმეზობლობის ნაძირალი გრძნობანი.

მოგეხსენებათ, რომ ამ ორს სახელმწიფოს ჰყოფს ერთმანეთისაგან მხოლოდ მცირე სიგანის სრუტე, რომელსაც ლამანშის სრუტე ეწოდება. ამ ათიოდე წლის წინად, თუ კიდევ უფრო ადრე, დაიბადა აზრი, გვირაბი გაეთხარათ ლამანშის წყალ-ქვეშ და შიგ რკინის გზა გაეყვანათ ორის ქვეყნის შესაერთებლად. დიდხანს იზარდა ეს აზრი და ბოლოს ისე მომწიფდა და გავრცელდა, რომ კომიტეტებიც-კი შესდგა ამ საქმის გამოსაკვლევად, როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში საფრანგეთის კომიტეტმა დაჰხარჯა გვირაბის გათხრის საქმის გამოსარკვევად 800,000 მანათი. ინგლისის კომიტეტმაც საკმაო ჯაფა და ხარჯი გასწია, მაგრამ ამ ხუთის წლის წინად ვაჭრობის მინისტრმა ინგლისში შეაყენა მუშაობა ამ საქმის განსახორციელებლად და დიდად სასარგებლო დაწყობილობა გაუქმდა.

დღეს ეს საგანი კვლავ წამოაყენა ცხოვრებამ და კვლავ აალაპარაკა ინგლისელები, რომელთა უმეტესობა ეშვის თვალით უცქერის რკინის გზის გაყვანის საქმეს ლამანშის წყალ-ქვეშ. 15 ივნისს დიდი სჯა და კამათობა ასტეხა ამ საქმემ პარლამენტში. გვირაბის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ კუნძულელები ვართ, ევროპასა და ჩვენ წყალი გვყოფს და წყალივე უნდა დარჩეს ჩვენ შუა მიჯნადაო. გვირაბის გათხრა და რკინის გზის გაყვანა შიგ საშიშია ჩვენის ქვეყნისათვის საფრანგეთს შეუძლიან მაშინ ადვილად დაგვესხას თავს და რად გვინდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერება, წარმატება, თუ-კი მუდამ შიშში ვიქნებით, აი ან ეხლა დაგვესხმიან თავსა, ან ეხლაო.

გვირაბის მომხრენი სრულიად წინააღმდეგს ამბობდნენ. იმას გარდა, რომ რკინის გზით შეერთება ინგლისისა და საფრანგეთისა დიდს სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, განაცხოველებს აღებ-მიცემასა და ვაჭრობას, დაგვაახლოვებს ერთმანეთს, ბევრი სხვა სასარგებლო შედეგიც მოჰყვებაო. საფრანგეთის მხრივ მიშიც ამაო შიშია. საფრანგეთი ჩვენ ომს არ დაგვიწყებს და, თუ მაინცა-და-მაინც ომი დაგვიწყო, ყოველ წუთს შეიძლება ავაფეთქოთ და დავანგრიოთ გვირაბიო. ამას გარდა, საფრანგეთს არავითარი საბუთი არ მოუცია, ვიფიქროთ, რომ თავს დაგვესხმის როდისმე. საფრანგეთი მუდამ მოწადინებული იყო გვირაბის გაკეთებასა და ამოდენა ხანია თავის მეგობრობასა და მოყვრობას არ გვაკლებს. მართალია, იყო ხოლმე ომები საფრანგეთსა და ინგლისს შორის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უკანასკნელს ექვსს საუკუნეში ჩვენ უფრო ბევრჯელ დავსხმივართ თავს საფრანგეთს, ვიდრე ჩვენ ისინი. გამოიანგარიშეთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენ ათჯერ მეტად შევსევივართ და დავსხმივართ საფრანგეთს, ვიდრე საფრანგეთი ჩვენაო.

მაინც გვირაბის მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს და კანონ-პროექტი უარ-ჰყვეს 305 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 165-ისა.

მაგრამ სასარგებლო და ნაყოფიერი აზრი ამით მაინც არ გაჰქრება და დღეს არა, ხვალ გაიმარჯვებს. გლადსტონი სწერს საფრანგეთის კომიტეტს, გვირაბის გათხრისათვის დაარსებულს, რომ მრცხვენიან ჩემის ქვეყნის მაგივრად, რად მოექცნენ ამ საქმეს ასეთის ეშვიანობით ჩემი თანამემამულენიო. მე ბევრი არა შემიძლიან-რა ამ საქმეში, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რაც-კი ჩემ ხელთ არის, ეგ დიდი საქმე და განზრახვა არ დაიღუპოს სამუდამოდაო. ვ—ლი

## ახალი ამბავი

*** ველაბრის ხიდთან ბაზაზებს შორის ვაჭრობს ბაზაზი ერემია გულაზოვიცა. გუშინ-წინ, 27 ივნისს, დილით ამ გულაზოვს გაუტანებია თავის პატარა ძმისათვის 1610 მან. საქონლის გამოსატანად დამოქირდგან. პატარა ყმაწვილი წასულა და წასულა. ვერც გუშინ-წინ და ვერც გუშინ დილით ველარ იპოვეს პატარა ნოქარი ონანა, თუმცა მთელი დღე და ღამე გულ-გახეთქილი დაეძებდნენ გულაზოვის ნოქრები.

*** გუშინ-წინ, 27 ივნისს, გამოაცხადა სასამართლომ თავისი განაჩენი ალექსანდრე ხოსროევის გამო. განაჩენი ვრცლად და დაწვრილებით არის დადგენილი და მოხსენებულია ყველა საბუთები, რომელიც ხელთა ჰქონდა სასამართლოს განაჩენის დასადგენად. ამ განაჩენის ძალით ხოსროევს გადაუწყვიტეს კატორგა 8 წლის ვადით. თითქმის 2 საათი იკითხა სასამართლომ ეს განაჩენი, ისე ვრცლად იყო შედგენილი. თვითონ ხოსროევი ავადმყოფობის გამო არ დასწრებია განაჩენის კითხვას. დაესწრო მხოლოდ იმისი დამცველი ნავიცი ვექილი შეალიე.

*** 20 ივნისს ჩამოუყვანიათ ეტაპით კავკავში სხვა-და-სხვა დამნაშავეებთან ერთად ტფილისის სახაზინოს ხაზინადრის თანაშემწედ ნამყოფი ნადვორნი სოვეტნიკი ივანოვი, რომელმაც 313 ათასი მანეთი მოიპარა ხაზინიდამ. საცოდავი ივანოვი სრულიად გამოცვლილა: გამხდარა, სანთლისფერ დამდნარა, გონება - დაკარგულსავით თვალები გაშტერებია. ხელები ისე აქვს თურმე ჩამოშვებული, თითქო თავისები არ არისო. 15 მაისს შეიპყრეს ივანოვი რიგის ქალაქში და ერთს თვეს უკან ძლივს მოაღწია კავკავამდე. იქიდამ ტფილისში მოიყვანენ და გზაზე მოუნდებიან კიდევ ერთს თვეს, ასე რომ ტფილისში ჩამოიყვანენ 20 ივლისს.

*** დ. ყვირილა (შორაპნის მაზრა): მდინარე ყვირილაში, კვირას, 26 ამ თვისას, დაირხო ერთი კაცი, რომელიც ერთის ნაპირიდგან მეორესაკენ მიცურავდა . . . საბრალოს ღონე გამოლევოდა, როცა შუაგულ მდინარეში მიაღწია და კიდეც ჩაიყურყუმელავა მორევში. საშველებლად გამოეკიდა მეორე, მაგრამ იმასთანა შველა თქვენს მტერს, როგორც იმან უშველა. ამასაც რომ

## ფელეტონი

### ხევსურული სიმღერები

შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ

ახნაკეს [1]) ქალნი ატირდეს,
ცრემლით იბანდეს პირსაო;
ბეჩავნო ჩვენნო მამანო,
ველარ გახვედით ჩდილსაო,
ვერც სანადიროდ წახვედით:
ჩორეხს გაგაი ზისაო!..
ან ხელთ წაგვასხენ, გაგაო,
ან ბეგარ დაგვდევ ცხვრისაო;
აიესა აკალდამაი
შენის ნახოკით მკვდრითაო,
აკლდამაისა კარები
ჩვენის ნაგლეჯით თმითაო!..
არ დაიჯერა გაგამა:
ადგილ მიჭირავ ხმლითაო;
წინ თქვენ დამეცით ლაშქარი,
ეხლა მე ვიბძვი ღთითაო!..
კა ყმა შაეაქათ, ვაქებო,
ცუდებიც შაეცდებოდა;
ხადელსა [2]) ღერენათასა [3])
საგონი ჩაეყრებ ოდა,
შაუყრავ ფშაველის ლაშქარი,
ტანიეს უგროედებოდა...

(ბადია ბალიაური)

[1]) ქისტების სოფელი.
[2]) ხადო სოფელია.
[3]) კაცის სახელი.

### ქალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში.

წერილი პირველი

გამოჩენილ ისტორიკოსის ნიბურის შემდეგ დამტკიცებულ საბუთად დარჩა, რომ ყოველი პირველდელი ისტორია ძველ ხალხთა აშენებულია ცოტად თუ ბევრად საერო ნაწარმოების საფუძველზედ. ეს ჭეშმარიტი აზრია. ისტორია ყოველის ერისა იკარგება ძნელად გამოსაკვლეველ წყვდიადში. იგი იწყება ბევრით ადრე ისტორიულ ნაწერებსა და ცნობებზედ, რომელნიც თვით ერს, ან იმის განათლებულს მეზობლებს გარდმოუციათ შთამომავლობისათვის წარსულის ცხოვრების შესახებ. როცა ერი მიაღწევს განვითარების უმაღლესს ხარისხს, როცა იღვიძებს ნაციონალური თვით-ცნობილობა, მაშინ იმის წარმომადგენელთ ებადებათ სურვილი და მოთხოვნილება წარსულის გაცნობისა, თავის დასაწყისის ცოდნისა. პირველნი ისტორიკოსნი ერისა, რომელთაც არა აქვსთ ეროვნული დაწერილი ისტორიული წყაროები, იძულებულნი არიან, ერთის მხრით, მიიშველიონ მეზობელთა ცნობანი ერის უძველესის წარსულის შესახებ და, მეორეს მხრით, თვით ერის მახსოვრობა. ერს ბუნდად ახსოვს თავისი ჩამომავლობა. პირად გარდმოცემული ამბები, ანუ ტრადიციები წარსულის ცხოვრებისა, წინაპართ გმირულის მოქმედებისა ცოტად თუ ბევრად გამშვენიერებული და ჩამატებული გადადის ერთის თაობიდამ მეორემდის საშვილიშვილოდ. პირველნი ისტორიკოსნი ერისა სწერენ თავიანთს მატიანეს ისე, როგორც აუწყებს ერის წარსულზედ გარდმოცემული ტრადიცია; იმათ ხშირადა სჯერათ, რომ პირად გარდმოცემული ამბავი უეჭველი სიმართლეა და ამიტომაც მოწიწებით ეკიდებიან ამისთანა პირად გარდმონაცემს: ან შეუცვლელად, ანუ ლიტერატურულად შემუშავებულნი შეაქვსთ თავიანთ ისტორიაში. საერო ელემენტი—მითები, ლექსები, ლეგენდები შეტანილნი არიან, როგორც ჰეროდოტის, ტიტე ლივის საშუალო საუკუნოების ისტორიულს ნაწერებში, აგრეთვე მოსე ქორენელის ისტორიაში და ჩვენს „ქართლის ცხოვრებაშიაც“. წინდაწინვე, ანუ როგორც იტყვიან ამ შემთხვევაში, a priori შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არის დაცული საერო ელემენტი. ამ კვალის აღმოჩენა იქნება უკეთესი საბუთი წინააღმდეგ იმ გამომკვლეველთა ჩვენის მატიანისა, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ იგი დაწერილია XI—XIII საუკ.; სინამდვილე და სიძველე „ქართლის ცხოვრებისა“ საჩინოდ დამტკიცებული იქნება, როცა დავრწმუნდებით, რომ ჩვენი დასაწყისი ისტორია გამოგონილი-კი არ არის ერთის კაცისაგან, როგორც ჰგონია პროფ. პატკანოვს, არამედ დამყარებულია ერის გარდმონაცემზედ, ტრადიციაზედ.

ჩვენს წერილს საგნად ექნება ამ კვალის გამორკვევა. მეტად დიდი სიფრთხილე სჭირს ამ ძნელის საქმის გამომკვლევარს, მეტადრე ვიდრე ჩვენში საერო ნაწარმოები არ შეკრებილა, იმისი შინაარსი და ხასიათი არ გამორკვეულა. ვეცდებით შორს არ შევტოპოთ და ნამდვილს, სწორე გზას გვერდი არ ავუქციოთ. ვეცდებით მარტო ჭეშმარიტებასა და სიმართლეს მივსდიოთ და არასფერს სხვა განზრახვას არ გავატაცევინოთ ყოველ უწინარეს ჩვენი თავი. შევაფარდოთ ერთმანეთს ბროსსეს მიერ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ და რუმიანცოვის ვარიანტი*). ეს შეფარდება თავიდგან აგვაცილებს იმ შეცდომებს, რომელნიც შევვეპარებოდნენ ჩვენს შემდეგს წერილებში, თუ მხოლოდ და უეჭველად ბროსსეს მიერ დაბეჭდილს ტექსტს გავყვებით და დავუჯერებთ.

მამათ-მთავარი ქართველთა ერისა არის ქართლოსი. (ქართლოსს, როგორც შემდეგს წერილში ვეცდებით დავამტკიცოთ, აქვს ეტიოლოგიური მნიშვნელობა). იმის სახელზედ დამოკიდებული იქნებოდა ხალხის მეხსიერებაში მამაცური, უშიშარი მოქმედებანი და საქმენი; იგი არის უუძლიერესი „გმირი“, რომლის წინაშე დანარჩენ ძმათა სურათი უნდა ჰკრთებოდეს და წყალდებოდეს. ამისთვის საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა მატიანემ,—რომელიც, უნდა დარწმუნებული ვიყვნეთ, დაწერილია ქართველისა და არა სომეხის მიერ, როგორც ჰფიქრობენ,—უპირატესობა დაუთმოს ჰაოსს, სომეხთა მამათ-მთავარს. ჩვენს ეჭვს საბუთიცა აქვს. ბროსსეს ტექსტის სიტყვები (გვ. 16):

> „ხოლო ჰაოს უმგბესი გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგე ვითარი არაოდეს ყოფილიყო წყლის-რღვნის წინათ, არცა შემდგომად, ტანითა, ძალითა და სიმხნით“.

არ მოიპოვება რუმიანცოვის ვარიანტში (აქვე ვუწოდოთ მოკლედ მოსკოვის მუზეუმის „ქართლის ცხოვრებას“). ჩვენის აზრით, ეს განდიდე-

*) რადგანაც მესმის, რომ ჩემი ბიბლიოგრაფია „ივერიაში“ „რუმიანცოვის მუზეუმის ქართლის ცხოვრება“ გამოწვეული იყო პატივცემულის პრ. ოქრომჭედლიშვილის წერილითაო, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, გამოაცხადოთ, რომ ჩემი „ბიბლიოგრაფია“ ბევრად ადრე იყო გამოგზავნილი თქვენს რედაქციაში.

ავტორი

რედაქცია ამაში ემოწმება პატივცემულს ავტორს. რედ.

დასძლია წყალმა და საბრალომ ყვირილი მორთო, ამ ხმაზე გაუჩნდა ერთი ვინმე შორაპნელი, გვარად გეწაძე, რომელმაც მამაცურად დაიხსნა საბრალო დარჩობისაგან, მხოლოდ პირველს-კი ვერა ეშველა-რა. დამრჩვალი დიდხანს ეძებეს, ე. ი. დილიდგან საღამომდე და ბოლოს-კი ერთს უალაგო ალაგას ამოაჩინეს იმისი გვამი. იმ ღამეს გვამი წყლის პირად დაასვენეს მეორე დღემდე. მეორე დღეს პოლიციას ოქმი უნდა შეედგინა.

*** იქიდამვე: ყველაფერს დასასრული აქვს, მხოლოდ დაბა ყვირილის და იმის ახლო-მახლო სოფლების ახალგაზდების ცუდს მოქმედებას-კი არა. 25-ს ამ თთვისას, შაბათს, ერთმა თავ-მომწონე ახალგაზდა აზნაურმა, გვარად ა. სოკოლაშვილმა, ერთი საბრალო გლეხის შვილი, გვარად მიროტაძე, დასჭრა რევოლვერით. როგორც გვარწმუნებენ ექიმები, დაჭრილის მორჩენა საეჭვოა. ამბობენ, სოკოლაშვილს არავითარი განზრახვა არა ჰქონია ეს დანაშაულობა ჩაედინა. დაჭრილსა და სოკოლაშვილს არავითარი უსიამოვნო და უთანხმოება ჰქონიათ.

*** ქუთაისი: 17 ივნისს ეგზამენი იყო ქუთაისის ორ კლასიანს პეტრე-პავლეს სკოლის მეორე და მესამე კლასებში. ეგზამენზე დაესწრნენ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი და ბ-ნი ზედამხედველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა ტატიშვილი. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა შემობრძანდა თუ არა სკოლაში, მოსწავლეებმა იგალობეს რუსულად „მეუფეო ზეცათაო“ და სხვა საეკლესიო საგალობლები ბ-ნ ლ. გაჩეჩილაძის ლოტბარობით. შემდეგ მის ყოვლად უსამღვდელოესობისაგან მიიღეს კურთხევა შეგირდებმა და დაიწყო წლიური ეგზამენი. ყმაწვილებს ჰკითხავდნენ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა და ბ-ნი ტატიშვილი. მოსწავლეებმა რიგიანად დაიჭირეს ეგზამენები, მხოლოდ ერთი-ორი შეგირდი ჩაიჭრა. ამ ორს ყმაწვილს მთელის წლის განმავლობაში ოთხი თთვეც არ უვლიათ სკოლაში. მის ყოვლად უსამღვდელოესობისაგან ყველა შეგირდებმა მიიღეს ჯვრები, ხოლო ბ-ნ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ ტატიშვილისაგან-კი ჯილდოდ პატარ-პატარა წიგნები.

—

გუშინდელი ფელეტონი: „უსამართლო განკიცხვა“ მოგვივიდა შემდეგ წერილთან ერთად, მაგრამ ჩვენ შეცდომით ვერ დავბეჭდეთ:

ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც «ივერიის» რედაქციამ აქამდინ არ აღასრულა თავისი მოვალეობა და არ მისცა პასუხი „ჩვენი ოჯახის“ ავტორს, ამიტომაც მე, არა ლიტერატორი, ვკისრულობ პასუხის მიცემას და მოგმართავთ ამ წერილით.

ნ. ხ.

## ქალაქის საბჭო

27 ივნისი

კანონი ავალებს ყოველს ქალაქს, სადაც საყარაულო ჯარის-კაცები სჭირდებათ, იზრუნოს მათთვის სადგური თავის ხარჯით. ტფილისი უკანასკნელ დროს იხდიდა წელიწადში 23 ათას მანათს ამ გარდასახადისას. კარგა ხანია მიწერ-მოწერა იყო გამართული იმის თაობაზედ, რომ მტკიცედ გამოერკვიათ, რომელი ჯარი უნდა ითვლებოდეს ეგრეთ წოდებულ „გარნიზონად“, რომ იმ რაზმის კვალობაზედ გადაეხადნა ტფილისს ხვედრი ხარჯი სადგურისა, მაგრამ დღემდე ვერც სენატმა, ვერც სამინისტრომ და ვერც შტაბმა ვერ განმარტა ეს საგანი არა თუ მარტო ტფილისისათვის, არამედ ვერც საზოგადოდ დაადგინა, რა უნდა ითვლებოდეს საყარაულო „გარნიზონად“. ამ განუმარტებლობის გამო ყოველი ქალაქი დავალებულია თავის კასსიდამ გაიღოს იმდენი ხარჯი, რასაც შტაბი მოითხოვს. ქალაქს შეუძლიან იშუამდგომლოს, ითხოვოს, დაუსაბუთოს თავისი სიღარიბე და თუ თხოვნა შესაწყნარებელი გამოდგა, ამ შემთხვევაში მაგალითი ყოფილა, რომ შეუმცირებიათ ეს გადასახადი. როგორც ვსთქვით, წლევანდლამდე ტფილისი იხდიდა წელიწადში 23 ათასს მანათს, მაგრამ წელს კავკასიის შტაბმა მოსთხოვა წელიწადში 37 ათასი მანათი. ქალაქს ძრიელ უჭირს შეუძლებლობის გამო ამოდენა ფულის მლევა და ამიტომ გამგეობამ უკვე მიჰმართა ბ-ნს კავკასიის მთავარ მართებელს, რომელმაც შეიწყნარა თხოვნა და რამდენიმე ასი თუმანი დაუკლო ამ ხარჯს. ამ დღეში ესევე საგანი უნდა განიხილოს კავკასიის შტაბმა და იქნება კიდევ მოახერხოს შემცირება.

ქალაქის თავმა წარუდგინა საბჭოს ვითარება საქმისა და ჰკითხა: გსურთ, რომ ასეთი მოწინაღობა სამხედრო უწყებისა ვცნათ ჩვენთვის შემავიწროებლად და შევიტანოთ საჩივარი სენატში, თუ დავსჯერდეთ იმ შემცირებას, რომელიც იქნება თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა და რომელიც მოსალოდნელია შტაბის მხრივაო.

ბევრ ნაირი აზრი წარმოითქვა ამ საგანზე. ხმოსნები უმთავრესად იმაზედ იდგნენ, რომ რადგან დღემდე კანონს არა აქვს განმარტებული რიცხვი საგარნიზონო ჯარის-კაცთა, ამიტომ არც მოსალოდნელია, რომ მთავრობამ გამოგვართვას გარდასახადი თანხმად ამა რიცხვისა და კაი თუ ტყუილად ჩავაბაროს მიწერ-მოწერამ და ან უფრო სამძიმო გარდასახადი შეგვაწეროსო.

მართალია, ხმოსანი ქოჩორიანცი იმ აზრისა იყო, რომ რაკი მაგრეა და თვით კანონითაც არ არის გადაწყვეტილი, რამდენი უნდა ვაძლიოთ სამხედრო უწყების საყარაულო გარნიზონის ხარჯი, ავდგეთ და იმდენი მივსცეთ, რამდენიც შეგვეძლებაო, — მაგრამ საბჭომ დაადგინა, რომ დასჯერებოდნენ იმას, რაც შეუმცირებია მთავარ-მართებელს და რაც მოსალოდნელია თვით შტაბისაგან.

მეორე საგურადღებო საგანი კრებისა იყო ცხენ-მავალის გამართვა ავჭალის ქუჩაზე, საიდამ რკინის-გზის სადგურამდე. ადრევე დაპირება ჰქონდათ „უსახელო ამხანაგობისთვის“, რომელიც უკვე ამუშავებს ამ გზებს ტფილისში, რომ ავჭალის ქუჩაზედაც გამართოს ცხენ-მავალი, მაგრამ „უსახელო საზოგადოებამ“ უარი სთქვა და არ ეკისრა ეს საქმე. ამის შემდეგ ხმოსანმა ყორღანოვმა ითავა ახალის ამხანაგობის შედგენა ტფილისშივე და კიდეც მოიმხრო ტფილისის მკვიდრნი, ფულიანი კაცები, და პირობის ქაღალდიც დასწერა გამგეობასთან. ეს პირობის ხელ-წერილი განიხილა საბჭომ. პირობის ძალით ბ-ნი ყორღანოვი კისრულობს გაიყვანოს გზა ავჭალის ქუჩაზე, აძლიოს ქალაქს შესაფერი ხარჯი, რომელიც შედარებით აღემატება „უსახელო საზოგადოების“ ხარჯსა, და ამ გზით სარგებლად ითვლებოდეს იმ დრომდე, სანამ ვადა გაუვა „უსახელო საზოგადოებას“. მერე-კი, როგორც „უსახელო საზოგადოების“ გზა, აგრეთვე ყორღანოვისაც გადავა ქალაქის საკუთრებად.

ტფილისმა თავისი მიწა დაუთმო „უსახელო საზოგადოებას“ პარკის (ბაღის) გასამართავად. სამართალი მოითხოვდა, რომ ბ-ნის ყორღანოვისთვისაც ასრევე დაეთმო ადგილი. მაგრამ, რადგან არა აქვს ქალაქს თავისუფალი მიწები ავჭალის ქუჩაზე, ამიტომ ბ-ნი ყორღანოვი თავის მამულს სთმობს ამ „პარკისათვის“ სრულებით უსასყიდლოდ. მიუხედავად ასეთის გაბედულის მსხვერპლისა, ზოგი ხმოსანი მაინც იმ აზრისა იყო, რომ, როცა ვადა გათავდება, ბ-ნმა ყორღანოვმა ხელი უნდა აიღოს თვითონ თავისს მიწაზე და დაუთმოს ქალაქს, რადგან „პარკი“ იქ იქნება აშენებულიო. შემდეგ დიდის ბაასისა საბჭომ დაადგინა, რომ ყორღანოვის მამულს-კი ნუ შეეხებით და, რაც იქ შენობა გამართება ამ გზისთვის, ყოველივე აჰქციოთ და გამოიყვანოთო.

ამისთანა ცვლილების შემდეგ საბჭომ დაამტკიცა ხელ-შეკრულობა შესახებ ავჭალის ქუჩის ცხენ-მატარებლისა, რომელიც დღეიდამ ერთის წლის შემდეგ უნდა მზად იყოს.

## ორი სოფელი ქართველთა ყიზლარის მაზრაში.

სოფელი სასოფლო, ანუ სტანიცა სასოფლინსკაია (Станица Сасоплинская) სძევს 18 ვერსის სავალზე ყიზლარიდამ. ამბობენ, რომ ეს სოფელი გაშენებულა 1820 წ.; წინად სასოფლო ყოფილა ოთხის ვერსის მოშორებით ეხლანდელ სოფელზე — თერგის ტოტზე, პრორვაზე. სასოფლო დაურქმევიათ ქართველებს და ჰნიშნავს ადგილს, სადაც მომავალში უნდა გაშენდეს სოფელი. თავისის მნიშვნელობით იგი უდრის „ხუტორს“, რომელიც შემდეგ მცხოვრებელთა გამრავლებისა გადაიქცევა ხოლმე სტანიცად. 1859 წ. სასოფლოს დაარქვეს ახალი სახელი — Александро-Невская станица, რადგანაც ამბობენ, რომ ყურს ეხამუშება სახელი „სტანიცა სასოფლინსკაია“.

სასოფლო წინად ეკუთვნოდათ ყიზლარელებს. აქ მდიდარი ყიზლარელები ასახლებდნენ ლეკებისაგან გამოსყიდულ ქართველს ტყვეებს. აქ მცხოვრებელ ქართველთ ჰქონიათ ხვნა-თესვა, ვენახები და ყოფილან თავისუფალნი სახელმწიფო ხარჯისაგან. 1839 წ. მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომ მეურველნი ჩაწერილიყვნენ სასულიერო წოდებაში, ანუ მოქალაქობაში (мѣщане) და დანარჩენნი-კი ყაზახობაში. ამის შემდეგ ქართველებზე გავრცელდა ის წესები, რომელნიც ყაზახთა ცხოვრებას ეკუთვნის.

---

ზა ჰაოსისა არ უნდა ყოფილიყო პირველს დედანში ჩვენის მატიანისა, არამედ ეკუთვნის სომხურად მთარგმნელს ჩვენის ქრონიკისას. აი სიტყვა სიტყვით მოყვანილი ზემოდ მოხსენებული ციტატა „Chronique Arménienne“-ში: Haïc, qui n'eut point Son pareil sur la terre, ni avant de déluge, ni depuis, jusqu'au temps présent, l'emportait par son enérgie et par sa voleur“. (page 1.) საინტერესოა, რასაკვირველია, ვიცოდეთ, გამოტოვებულია თუ არა ეს ადგილი ძველს ვახტანგს მეფეზე ადრინდელ ვარიანტებში — აკადემიის და მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“. მანამ-კი ვფიქრობთ, რომ დაბეჭდილი ტექსტში ეს ადგილი შეპარეა ბროსსეს „სომხურის ქრონიკიდგან“, ანუ, უკეთ ვსთქვათ, „ქართულის ქრონიკიდგან“, რომელიც არის თარგმნილი სომხურს ენაზედ დავით აღმაშენებელის დროს, როგორც ჰფიქრობს ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე, მთარგმნელი უნდა ყოფილიყოს თვით სომეხი და აქედგან შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ სომეხმა-მთარგმნელმა, გატაცებულმა პატრიოტმა, თავისს ერს დაუთმო პირველი ადგილი „ქართლის ცხოვრებისა“ და დედანს აქა-იქა ფერი უცვალა. შეგვიძლიან დასამტკიცებლად ჩვენის აზრისა მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი კიდევ, რომელიც ჰაოსის გმირულს თვისებას შეეხება.

„ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ სცემდა, ნუგეშინის-ცემათ, ხმითა საზარელითა, რომელ მსგავსი იყო მეხის-ტეხისა“. (ქართ. ცხოვრ. გვ. 18).

ამ ადგილს, გამოტოვებულს რუმიანცოვის ვარიანტში, გვაგონებს ქება ჰაოსისა სომხურს ქრონიკაში (გვ. 2): „Haïc se tenait derrière les siens, les animant, les encourageant“. ბროსსემაც სომხურის ქრონიკის მიხედვით ქართველები მეორე ადგილზედ ჩამოახტუნა, სადაც-კი ქართველები და სომხები ერთად იხსენიებიან. თითქმის სუყველგან, — დასაწყისში-კი გამოუკლებლად, — რუმიანცოვის ვარიანტი ჯერ ასახელებს ქართველებს და შემდეგ სომხებს.

„პირველად გახსენოთ ესრეთ, რამეთუ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა და სომეხთა... ჰყავდათ ერთი მამა თარგამოსი“.

შეადარე ბროსსეს მიერ დაბეჭდილი ტექსტი... „სომეხთა და ქართველთა“... გვ. მე-15. რუმიანცოვის ვარიანტით პირველს ძმას ერქვა ქართლოს, მეორეს ჰაოს და არა პირველს ჰაოს და მეორეს ქართლოს, როგორც ბროსსეს ტექსტშია. (გვ. მე-16)

შესასწორებელია რუმიანცოვის ვარიანტის მიხედვით შემდეგი ადგილებიც. (გვ. მე-25)

„მოვლო (ძემ შიოშ ბედნიერისა) ქ ა რ თ ლ ი და სომხეთი“.

იქვე:

„იპოვეს ჟამი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა და სომეხთა, განუდგეს სპარსთა“.

აგრეთვე (მე-26 გვ.) სამი ადგილი, სადაც უპირატესობა ეძლევათ ქართველთ და არა სომეხთ, როგორც ბროსსეს აქვს დაბეჭდილი.

ჩვენს წერილში „ბიბლიოგრაფია, რუმიანცოვის მუზეუმის „ქართლის ცხოვრება“, მოყვანილია ორი ადგილი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან დაბეჭდილს ტექსტს. პირველია შესახებ ქართლოსის უფროსობისა. რუმიანცოვის ქართლის ცხოვრება ქართლოს უწოდებს „უხუცესათ“, რომელსაც მორჩილებდნენ დანარჩენნი ძმანი და მათ შორის ჰაოსიცა. მეორე ადგილი შეეხება ქართულის ენის დასაწყისს, რომელიც ვითომ წარმოსდგა შემდეგ არევისა სხვა-და-სხვა ენათა. რუმიანცოვის მუზეუმი ამბობს, რომ ქართველთ ენა იყო თავდაპირველადვე ქართული, ხოლო ხალხთა შემოსევისა შემდეგ იგი შეიქმნა „მორთული“, ესე იგი ბევრი ახალი სიტყვები შეიხორცა ჩვენმა ენამ. უცხო ენათაგან სიტყვები ყოველს ენაში იპოვება (ამისთანას უწოდებენ „ბარბარიზმს“). რუსულს ენაში (მე-XII საუკ.) უკვე მოიპოვება თათრული სიტყვები, რომელნიც უნდა ეკუთვნოდეს პოლოვცებს. (ეს უძველესი გავლენა თურქთა ხალხთა აღმოჩნდა „Слово о полку Игоревѣ“-შიაცა.) ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენმა ენამაც შეითვისა ახალი სიტყვები და ამით შეიქმნა გამდიდრებული, „მორთული“. ეს ადგილიც დაბეჭდილია ქართულათ Armén. Chron. გავლენით, რომელიც მოგვითხრობს, რომ პირველად ქართველთა ენა იყო სომხური. „Jusqu'alors les georgiens faisaient usage de la langue arménienne; mais a cette époque la diversité des nations habitant au milieux d'eux amena des alterations qui firent un mélange de tous les idiomes et de cette fusion resulta la langue géorgienne actuelle (p 6). ეს ადგილი ბროსსეს ქართლის ცხოვრებაში (გვ. 25) მოყვანილია ასე:

„აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“.

ამ ადგილს რუმიანცოვის ქართლის ცხოვრება გვიჩვენებს ისე, როგორც ჭეშმარიტება მოითხოვს. იქა სწერია:

„ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული აქამომდე (ხალხთა შემოსევამდე), რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც გარყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მ ო რ თ უ ლ ი“. (გვ. მეცხრე)

„მორთული“ ენის შექმნა სხვა ენათა გავლენით შესაძლებელია და ჩვენი ენა, მართლაც, საკმარისად შეზავებულია უცხო ენათა სიტყვებით, რომელნიც შემოტანილნი არიან ძველის-ძველს დროს და შესთვისებიან ჩვენს ენას, ისე რომ მათი განცალკევება შეუძლებელი შექმნილა.

მოვიყვანოთ მეორე ადგილსაც ქართლის ცხოვრებიდამ და ამით გავათავებთ ჩვენის მატიანეს ვარიანტების შეფარდებას. ბროსსეს მიერ დაბეჭდილი ტექსტი მოგვითხრობს, რომ

„შვილთავე გმირთა (ესე იგი შვილთა თარგამოსისათა) ზედან იყო გამგებელ და უფალ ჰაოს და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰ ა ო ს ი ს ა.“ (გვ. 17)

ეს ადგილიც შეგვიძლიან ავხსნათ Armén. Chronique-ის გავლენით. აქ კითხულობთ იმასვე, რაც ბროსსეს დაუბეჭდია: il (Haïc) posseda tous les domaines paternels avec les limites ci-dessus; il était le prince de ses sept fréres. (pag. 2). ხოლო ეს ადგილი რუმიანცოვის ვარიანტში შეცვლილია ქართლოსის სასარგებლოდ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, Armen. Chronique-ში ჩვენის მატიანეს ცნობა სომეხთა მთარგმნელის მიერ გადასხვაფერებულია ჰაოსის სადიდებლად. რუმიანცოვის ვარიანტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ

„ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ასრეთ პატივს სცემდნენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარცა მშობელსა თვისსა“ (გვ. 4).

ამ მაგალითებიდამ, ვგონებ, საკმარისად სჩანს, რამდენად შერყვნილია სინამდვილე ჩვენის პირველ ხანის ისტორიისა და რამდენად აუცილებელი საჭიროებაა ახლად დაბეჭდვა „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ კრიტიკულად შესწავლისა და შედარებისა ჩვენის მატიანეს ვარიანტებისა. ვიდრე ამას არ შევასრულებთ, თავიდგან ვერ ავიცილებთ იმ ცრუ წარმოდგენას ქართლის ცხოვრების დასაწყისზე და შემადგენლობაზე, რომელიც მოჰფინა მეცნიერებაში პროფ. პატკანოვმა.

ა. ხ.

ქართველთა მცხოვრებელთა მდგომარეობის წარმოსადგენად უნდა მივმართოთ იმ წყობილებას, რომელიც აწარმოებს ყაზახთა სტანიცებს. შემდეგს წერილს ვუძღვნით ამ საგანს.

1860 წ. ყიზლარიდამ გადმოასახლეს იქ მცხოვრებელი ყაზახები. იმათთან გადმოიტანეს იქაური ხის ეკკლესია წმიდა სამებისა. მე სწორედ ამ დღესასწაულს დღეს ვიყავ სასოფლოში. მთელი სოფელი ქეიფს მისცემოდა. ქართველს კაცს გულ-უხვობა და ლხინი სამშობლოს გარეთაც არ დაჰვიწყებია. შეველ თუ არა პირველს ოჯახში, მაშინვე ყაზახებმა შემოსძახეს ქართულად ჩვენებურს ხმაზე:

მოხვედით, მოსვლა გვიამა,
ნახვა თქვენისა პირისა;
როგორ კარგად ხართ, მშვიდობით,
ხომ არა გჭირვებიათ-რა.

როგორც გაათავეს ეს სიმღერა, უცბად შემოსძახეს რუსულად: „Друзь, подагрой изнуренный...“ შემდეგ ისევ „ქართულებრ“ დაიწყეს:

სიმღერას ბანი ამვენებს,
ქალს მუნჯსა ვაშლი წითელი;
ვაჟკაცსა ფარი და ხმალი,
მოიმწითელოს კისერი.

შესანიშნავია, რომ რუსული ლაპარაკი ქალებს ვერ უსწავლიათ, თამაშობა ჩვენებურ დაირასა და მუზიკაზე ისე კეკლუცად მოსდით, როგორც სანატრელია ყველა კოპწია ქალისათვის; კაცებიც ლეკურს კარგად უვლიან. რუსულს-კი იმავე შეცდომებით ლაპარაკობენ, როგორც ყოველი ქართველი კაცი, რომელსაც ცოტა-ოდნად უსწავლია რუსულად მტვრევა. „ქართულებრ“ უკეთესად ელაპარაკობთო, ამბობენ სასოფლელები და ეს ასეც უნდა იყოს: ოჯახში ბავშვები ჯერ ქართულს ლაპარაკს სწავლობენ, რადგანაც ქართველთ სახლებში საშინაო ენა ქართულია. რუსის ქალებსაც-კი წმინდად უსწავლიათ ქართული, თუ სადმე აქ ქართველს კაცს შეურთავს და შეუყვანია ოჯახში. ის დრო ახსოვთ, როცა აქაურმა ქართველებმა რუსულად პურის სახელიც არ იცოდნენ და ლაპარაკის დროს მარტო თავს იქნევდნენ თანხმობის ნიშნად. მცხოვრებელთა რიცხვი აღემატება 70 კომლს.

მეორე სოფელი სარაფანია, აწ შელკოვაია, მდებარეობს 50 ვერსის სავალზე ყიზლარიდამ. რიცხვი მცხოვრებელთა 65 კომლია. შელკოვაია, ანუ შელკოზავოდსკაია დაურქმევიათ იმიტომ-რომ ამ სოფელში ბევრი აბრეშუმის ქარხნები ყოფილა. რაც ითქმის სოფ. სასოფლოზე, იგივე ითქმის სარაფანზედაც. ამ სოფელში ენახა ერთი ფრიად მოხუცებული კაცი 75 წლისა, რომელსაც კარგად ახსოვს წინანდელი ცხოვრება ქართველთა. იგი მეტად სწუხს, რომ ქალებმა სასოფლოშიაც და აქაც ნელნელა დაივიწყეს ჩვენებურად თავის დახურვაო. ეხლა მომეტებული ნაწილი ან „მოზდოკურად“ იხურავს თავსა, ჩიქილი და ბრტყელი თავსაკრავი,—ან რუსულად მხოლოდ თავშალს წაიკრავენ ხოლმე თავზე. ის ქართველი ყაზახები ქართულს ლაპარაკში რუსულს სიტყვებს დომხალივით ურევენ. „იჩ“-ით ლაპარაკი ხომ არ უხდება და არ უხდება. „პეტრ ნიკალაიჩ, მიირთვი ლვინო!“ ეუბნება ურიადნიკი ყაზახს. „არ შემიძლიან, ვასილ ივანიჩ!“ და სხვანი. ამას დაუმატეთ ქართულის სიტყვების უქონლობა, რომელიც აიხსნება იმით, რომ წერა-კითხვა არ იციან და, მაშასადამე, ძველი სიტყვები ავიწყდებათ, ახალს-კი ვერ იძენენ. ამასთანავე ჩვენი განცვიფრებაც უნდა გამოვაცხადოთ, რომ გადაკარგულმა ქართველებმა რუსებს ნუღაელთ შუა აქამდინ ასე დაიცვეს ქართული ენა. ორივე სოფელში დიდად სწუხან, რომ ქართული წერა-კითხვა არ იციან და არა აქვსთ ქართული წირვა-ლოცვა. ამ ბოლო დროს „ივერიაში“ ლაპარაკი იყო „მოძრავ სკოლებზე“. კარგი იქნებოდა, ამ გზით როგორმე ხელი გავუწვდინოთ მოშორებულ ძმათა და დაკარგულ თანამემამულეთ ამ მხრივ საზრდო მივაწოდოთ. თუ ამ გზით ვერ შევსძლებთ შემწეობის მიცემას, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» ეშუამდგომლნა მთავრობასთან, რათა სასოფლოში და სარაფანში დაენიშნოს ისეთი მასწავლებელი, რომელმაც იცოდეს ქართული ენა.

მოვიყვან ლექსებს, გაგონილს სასოფლოში. მთქმელი უბრალო ყაზახია, 40 წლისა; იმასი სახელი და გვარი გახლავთ სერგეი გეუთაშვილი. წერა-კითხვა არ იცის.

კანაფარია.

თავს დევ'ადა ხელმწ ფე,
დაარქვეს კანაფარია,
დალოცეს და ტახტზე დასვეს,
წელს შემოარტყეს ხმალია.
გაწყრა, გაჯავრდა კანაფარ,
გაყარა ცეცხლის ალია,
ჩვენ კატის ქალი რათ გვინდა,
ის ჩვენი მოსისხლარია.
ამას-იმასობაშია
შებოჭეს კანაფარია;
ლეპორტინას დაუსხეს
მუხლ მაგარი და ჩქარია.
«ლეპორტინამ» გაინაზა,
მე იქით არ წამესვლება,
სიცა წვიმა-ავდარია,
მე იქითა წამესვლება,
საცა წვიმა და დარია.
ამას-იმასობაშია
გადაკვდა კანაფარია.

—

შუაღამისა ხანზედა
წყალმა მიგბინა ტანზედა,
ავდექ, სანთელი ავანთე,
გამოუდექი კვალზედა;
დავიჭირე, მოვიყვანე,
დავაბი საბლის წვერსაო,
ალმასის ხმალი გავტეხე
იმისა ყელის ჭრასაო,
ალმასის დანა გავტეხე
იმისა ტყავის ხდასაო,
დოლმის მინდორი არ მეყო
იმისის ტყავის შლასაო;
ასსა ურემსა დაუდე,
ორას უღელსა ხარსაო,
ამდენი ქონი ავაძრე,
ზემოთ ქალაქი ჰყარსაო,
ლიტრა შაურად გავყიდე,
რაც ისე მივე სხვასაო.

—

ავაშენებ სანთლის გუთანს,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში გხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელეთს ვინადირებ თევზსა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამბეჩებს დაუურის ზზესა.

◆◆

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ცხინვალი, 24 თიბათვე. ცხინვალის სასამართლოს დარბაზში იყო გამართული წინამძღვარიანთ კარის სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ბაიყუში“, კომედია 2 მოქ. ა. ცაგარლისა; პირველი მოქმედება „ხანუმიდგან“, ა. ცაგარლისავე, და „ცოლი თუ გინდა, ეს არის“, ვოდევილი ერთს მოქმედებად, ვ. აბაშიძისა. წარმოდგენა იყო გამართული დურმიშხან ქურულის სახლობის მეცადინეობით. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნებმა ს. ციციშვილისამ, ბ. ყიფშიძისამ, ს. ყიფიანისამ და ნ. ქურულისამ; ბ-ნთ ზ. მაჩაბელმა, გ. ქურულმა, ა. ციმაკურიძემ, ი. ხომ-შიაშვილმა და კ. ფირადოვმა. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

აქ მე არ შევეხები იმას, თუ ვინ როგორ წარმოადგინა, ვინ რა ნიჭი გამოიჩინა, რადგან ეს ყველასათვის ცხადი იყო წარმოდგენის დროს; მხოლოდ ვიტყვი, რომ ყველანი მადლობის ღირსნი არიან იმ მონაწილეობისათვის, რა მონაწილეობაც მიიღეს თავის შეძლებისამებრ. განსაკუთრებით ღირსია მადლობისა ქურულის სახლობა იმისათვის, რომ ითავა საქველმოქმედო აზრით წარმოდგენის გამართვა. მადლობის ღირსნი არიან არა ნაკლებად: ს. ციციშვილისა, ბ. ყიფშიძისა, ს. ყიფიანისა, რომელთაც ამავე სასარგებლო საქმის გამო მიიღეს შრომა, მოვიდნენ ცხინვალში, დაამშვენეს წარმოდგენა და დაატკბეს მსმენელთა გრძნობა.

წარმოდგენაზედ ბლომად ხალხი დაესწრო, ასე რომ ალაგიც აღარ იყო დარბაზში. შემოსავალი იყო 76 მან, დაიხარჯა 7 მან. 50 კაპ., დარჩა ნაღდი 68 მან. 50 კაპ.

არ შემიძლიან, არ მივაქციო ყურადღება იმას, თუ როგორი თანაგრძნობა აღმოუჩინეს ამ კეთილს საქმეს თვით ცხინვალელებმა. ზემოდა ვსთქვი, რომ წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო-მეთქი. აქედგან მკითხველმა ის აზრი-კი არ დაასკვნას, ვითომც ამ წარმოდგენაზედ ცხინვალელები ყოფილიყვნენ; არა, ცხინვალელები ძალიან ნაკლებად დაესწრნენ. ამათ ამ გვარი გართობა არ უყვარსთ და, როგორც სჩანს, არც თანაუგრძნობენ საქველ-მოქმედო საქმეს.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენმა ხალხმა ჯერ ვერ შეიგნო ნამდვილი მნიშვნელობა წარმოდგენებისა. ხალხმა ჯერ არ იცის, რომ თეატრი იგივე სკოლაა, სადაც კაცმა წერა-კითხვის ნაცვლად უნდა გაიცნოს თვით ცხოვრება სხვა-და-სხვა მხრივ; აქ უნდა იწვრთნებოდეს ჩვენი ზნე-ჩვეულებანი; ის სკოლაა, სადაც კარგს უნდა თანაუგრძნობდეთ და ბოროტებას-კი ვერიდოთ, მოვშორდეთ. მოკლედ რომ ვსთქვათ, თეატრი არის სარკე ცხოვრებისა. რამდენადაც ხელოვნური ნაწერები გვექნება თეატრისათვის, რამდენადაც ნიჭიერნი და პატიოსანი არტისტები გვეყოლება, იმდენად კარგად გამოჩნდება ამ სარკეში ჩვენი ცხოვრება, იმდენად უფრო ნაყოფიერი იქნება თეატრი. მართალია, დღეს ჩვენს თეატრის საქმე სანატრელს წერტილზედ ვერა სდგას, რადგან თვით ჩვენს საზოგადოებას წარმატება აკლია ყოველ მხრივ, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ თეატრის მოთავენი დღეს ჩაითვლებიან მეთაურებად, მოწინავე საზოგადოების კაცებად. როდესაც საზოგადოება წინ წაიწევს, მაშინ თეატრის საქმეც წარმატებაში შევა.

ცხინვალიდგან სულ ათი სული იქნებოდა წარმოდგენაზედ. დანარჩენნი ახლო-მახლო სოფლებიდგან შეგროვდნენ. საკვირველია ცხინვალელების საქმე! თუ-კი გარეშე სოფლებიდგან ღამე მოვიდა ხალხი და იმავ ღამეს 11—12 საათზედ დაბრუნდა, ცხინვალელებს როგორ გაუჭირდათ მოსვლა? რითი აიხსნება ეს ამბავი? არ შევიძლიან ვსთქვათ, რომ ფასი ყოფილიყოს საშძიმო, რადგან ძალიან ზომიერი ფასები იყო დადებული: 1, 2, 3 რიგი იყო მანეთად; 4, 5 რიგი 75 კაპ.; 6, 7, 8 რიგი 50 კაპ.; დანარჩენი 30 კაპ. აქედგან ცხადია, რომ ცხინვალელები არ თანაუგრძნობენ ამ გვარს კეთილს საქმეს. მოარჩა და გათავდა. ისინი ძალიან ვიწრო თვალით უცქერიან შვილების აღზრდას. წინამძღვარიანთ კარის სკოლის შეგირდები იმათი შვილები ხომ არ არიან! ცხინვალელებს რაში ეკითხებათ იმათი ავ-კარგიანობა?!

ამბობენ, რომ ცხინვალელების გულგრილობა ვარდანა ყაჩაღის საქმეაო. როგორც დაღამდება, კარში ვერავინ გამოდის ვარდანას შიშით. რამდენისამე დღის წინად ვარდანას შემოუთვალა მუქარა გ—თვის. ამ ამბის გაგონე ცხინვალელებმა თავის სორო მოსძებნეს, თუმცა-კი ერთს დროს თავგზებსაც ეშინოდათ. მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს საპატიო მიზეზი ამართლებს ცხინვალელებს, რადგან ვარდანა გუშინ-წინ, 22 თიბათვეს, დაუჭერია ჯავის მამასახლისს. ვარდანას წამოსაყვანად წასულან ცხინვალის ბოქაული თავისის ჩაფრებით, ჩაფრების უფროსი ხმიადოვი თავისის ჩაფრებით და თვით მაზრის უფროსიც. გუშინ საღამოს, 23 თიბათვეს, მოვიდა ცხინვალში და იმავ ღამეს წავიდა ჯავაში. ახლა რიღასი ეშინიანთ ცხინვალელებს? იმისი, რომ ურწმუნო თომები შეიქნენ. ისე არიან შიშით მოცულნი, რომ აღარა სჯერათ ვარდანას დაჭერა, ვიდრე თავიანთ თვალით არას დაინახავენ. იმედია, რომ მალე დარწმუნდებიან ვარდანას დაჭერაშიაც და მას შემდეგ სულ სხვა ნაირად, საუკეთესოდ შეიცვლებიან. ღმერთმა ინებოს!..

ერთი მაყურებელთაგანი

◆◆

# უცხოეთი

ინგლისი. მთავრობის მომხრეებს უხარიანთ, რომ ჯონ მორლეის წინადადებამ ვერ გაიმარჯვა დილლონის დაპატიმრების შესახებ და პარლამენტის უმრავლესობამ მთავრობის მხარე დაიჭირა. ამ საგნის თაობაზე მორლეიმ ცალკე სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ ჩვენ არ დაგვასუსტებს კონსერვატორებისა და უნიონისტების გამარჯვებაო. ჩემის აზრით, ყოველი დასი, რომელსაც-კი აქვს თავისი საკუთარი საგანი და ჭეშმარიტი დედააზრი, ისეთი საგანი და დედა-აზრი, რომელიც ღირსია, რომ დასმა იბრძოლოს მისთვის, მოვალეა არ დაჰყაროს ფარ-ხმალი და დაუღალავად, მხნედ განაგრძოს ბრძოლა მაშინაც-კი, როცა დარწმუნებულია, რომ უმრავლესობა იმის წინააღმდეგი იქნებაო; თუ მართლა იმისი საგანი და დედა-აზრი ჭეშმარიტი და სამართლიანია, დღეს არა, ხვალ მაინც გამარჯვება იმისი იქნებაო.

უნიონისტებსაო, — სთქვა მორლეიმ, — უხარიანთ, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ მივეცით შემთხვევა გაემარჯვნა მთავრობას. მე ამ საქმის გამო გულახდილად გეტყვით ყველაფერს, რასაც-კი ვფიქრობ. მე მგონია, რომ ის დასი, რომელმაც სასარგებლო აზრი, საქმე აიჩინა, მაგრამ ეშინიან, რომ უმრავლესობა იმისი წინააღმდეგიაო, ღირსი აღარ არის, დასი ერქვას. რა უმრავლესობამ გვძლია ჩვენ? სულ 93 ხმა იყო მეტი ჩვენის წინანდების წინააღმდეგ. მერე მაგ 93 ხმამ უნდა შეგვაშინოს? მგონია, ზოგიერთნი ამ 93-ში თვითონ უფრო უმალ შეიშინებიან (სიცილი და ტაშის კვრა იმის). ერთს დიდს ბრძოლაში, ნაპოლეონის დროს, ომი დილას არ გათავდა და გამარჯვება არც ერთს მხარეზე არ იყო. ნაპოლეონის გენერალმა ამოიღო საათი და სთქვა: „ჯერ მხოლოდ მეორე საათია. კიდევ ბევრი დრო გვაქვს, რომ ჩვენ გავიმარჯვოთო“. მე მგონია, ჩვენც ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, რომ გავიმარჯვოთ.

რაიც შეეხება ირლანდიელებს და ჩვენს პოლიტიკას იმათ შესახებ, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ერთი მომქმედი შექსპირის პიესისა ამბობს: „განა ებრაელს-კი არა აქვს თვალები? ებრაელს კი არა აქვს ხელები, სახსრები, გრძნობაო“. ჩვენც ამასვე ვამბობთ. როგორ გგონიათ, განა ირლანდიელები მოკლებულნი არიან ან ჭკუა-გონებას, ან გრძნობას? ჩვენი პოლიტიკა მათ შესახებ, ჩვენი წინააღმდეგობა თქვენის ძალ-მომრეობისა ის არის, რომ ირლანდიელიც კაცად, ადამიანად აღიაროთ, ის არის, რომ ირლანდიელებს ისე მოექცეთ, როგორც ჩვენც გვინდა, სხვანი მოგვექცნენ. აი, ბატონებო, ეს არის ჩვენი პოლიტიკა, ეს არის ჩვენი სიმბოლო სარწმუნოებისა, დედა-აზრი განათლებულის ქვეყნის მართვისა და გამგეობისა. ამ პოლიტიკისათვის გთხოვთ მომხრეობას, თანაგრძნობას (ისმის დიდი და ხანგრძლივი ტაშის კვრა).

გერმანია. „National Zeitung“-ი ამბობს, რომ გერმანიამ ცოტაოდნად შეაცვლევინა აზრი იტალიასა და ავსტრიოვენგრიას ბოლგარიის საქმეზედაო. ამ მიზეზით, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ბოლგარიის საქმე მშვიდობიანად გადაწყდება. მხოლოდ ინგლისი იქნება წინააღმდეგი ამ საქმის ასე გადაწყვეტისა, მაგრამ ისიც სიტყვით თუ გასწევს წინააღმდეგობას, თორემ საქმით ხელსაც არ გაანძრევსო.

— გერმანიაში ახლა იმაზეა ლაპარაკი, სად იქნება დასაფლავებული ვილჰელმ II-ისა, კენიგსბერგში, თუ სხვაგან სადმეო? ზოგიერთი გაზეთი ამბობს: რეიხსტაგში სიტყვა სიტყვა ისეთის ამბით იყო თქმული, რომ დაგვირგვინების ამბავი კენიგსბერგში ვერაფრის მიუმატებს იმპერატორის დიდებასაო. ლიბერალები ორად არიან გაყოფილნი. ერთნი ამბობენ, რომ კენიგსბერგში იმპერატორის დაგვირგვინება წინააღმდეგი იქნება კონსტიტუციისა, ხოლო მეორენი იმ აზრისანი არიან, რომ სულ ერთია, საცა უნდა დაგვირგვინდესო.

— თ. ბისმარკისათვის უკვე მოუმზადებიათ სადგომი კისინგენში.

— შინაგანთა საქმეთა მინისტრი გერმანიისა გერფურტი ძალიან ჭკვიანი ადმინისტრატორიაო. ამ მინისტრს ჰქონდა მინდობილი დაწერა სიტყვა-სიტყვისა, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა ტახტის კრებაზეო.

იტალია. ამბობენ, რომ კრისპი და თავადი ბისმარკი ინახულებენ ერთმანეთს კისინგენში ამ ზაფხულსაო.

# წვრილი ამბები

„Revue Internationale“-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია საინტე-

რესო ეტიუდი აღფრედ მეტრის გერმანიის ახალ რომანისტებზედ. წერილში აწერილია აგრეთვე ყოველგან ცნობილი მწერლები ბოლ ჯაიზე, კელლერი, შპილგაგენი, ლინდაუ და სხვანი. ორიგინალურ აზრთა შორის საყურადღებოა ერთი, რომელიც იმას გვამცნევს, რომ გერმანიის გაერთიანებამ დიდი სარგებლობა ვერ მოიტანა და ნაყოფიერი არ აღმოჩნდა ლიტერატურის მხრივაო.

— ახალს ლურჯს წიგნში ინდოეთის შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა ინგლისის მთავრობამ სახელ-წოდებით „Moral and material Progress of India“, საყურადღებო რიცხვებია მოყვანილი იმის შესახებ, რომ ინდოეთის მკვიდრთ შორის უფრო ხშირია სხვა-და-სხვა გვარი ავაზაკობა, თუ ინდოეთში მოსულთა ევროპიელთა შორის. მაგალითებრ: ყოველ 274 ევროპიელში მხოლოდ ერთი მოდის დამნაშავე, შერეულის სისხლით დაბადებულებში (როცა ევროპიელი და ინდოელი არიან შეუღლებულნი) ერთი 509-ზედ, ნამდვილ ინდოელებშიკი ერთი 799 ქრისტიანში, 856 მაჰმადიანში და 3,784 ბუდის სარწმუნოების მიმდევარში. ინგლისის ექიმთა გაზეთი „Tablett“-ი ამბობს, რომ სამისიონერო საზოგადოებანი უფრო უკეთესს იზამენ ევროპის დაბალ ხალხის ზნეობრივად აღდგენასა და განსწავლებას ეცადნენ, იმის მაგიერ, რომ აზიისა და ან ავსტრალიის მკვიდრთა საქმეში ერევიან და ეჩრებიანო.

— მიუნხენში ამას წინად ბავარიის სტატისტიკო კომიტეტს გამოუქვეყნებია საყურადღებო რიცხვები, რომელშიც, სხვათა შორის, მოხსენებულია სიმთვრალე და მასთან დაკავშირებული საზოგადოებათა და ამხანაგობათა. მკითხველს უკვირს, როცა ამოიკითხავს, რომ ბავარიაში მარტო განსაკუთრებულად მამულთ მეპატრონეთა და გლეხთათვის 1887 წელს 1953 საზოგადოება ყოფილა და 154,000 წევრი ჰყოლია. ყველა ამ საზოგადოებათა თანხა 2 მილიონამდე აქვსთ და ბავარიაშიკი, ასე წინ წასულს სახელმწიფოში, 25-ჯერ ნაკლები მკვიდრია რუსეთზედ.

— დედოფალი ვიქტორია ძალიან დანაღვლიანებულია თურმე სიძის, იმპერატორ ფრიდრიხის, გარდაცვალებით და სასახლეში სცდილობენ, რომ არ მოაგონონ დედოფალს ეს უბედურება და ჭრილობა არ განუახლონ. ამის გამო, მაგალითებრ, აქამდე გერმანულს ენაზედ არა ჰლაპარაკობენ თურმე ლონდონის სასახლეში. მწუხარე დედოფალს აქამდე ვერ შეუმჩნევია, ხოლო ეხლა-კი თითონვე უთხოვნია: „ილაპარაკეთ გერმანულად, მაგ ენაზედ კარგი და ნაზი სიტყვები, სიტყვები სიყვარულისა და მეგობრობისა, გამიგონია და აწ მაგის არ მოსმენას ვერ ავიტანო“.

— საზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობენ, რომ ექიმმა მორელ მეკენზიმ ფრიდრიხის წამლობაში მიიღო სულ 150,000 მან. (ინგლისის ექიმი გერმანიის სასახლეში ყოფნის დროს დღეში 800 მან. იღებდა. თუმცა დიდი ფულია ეს რიცხვი, მაინც არ აღემატება დღიურს მოგებას გამოჩენილის ექიმისას, რადგან მეკენზი დღეში ორმოც ავადმყოფსა ჰსინჯავს და თითო გასინჯვაზე ჩვეულებრივ 20 მან. იღებს.

— საფრანგეთში გამოუცხადებიათ განქორწინებათა სტატისტიკური ცნობები მას შემდეგ, რაც კანონმა შესაძლებელად იცნო ქმრისა და ცოლის განშორება. 1884—1887 წლამდე 30,000 ცოლ-ქმარი განქორწინებულა. უმეტესად უფრო ქალები გაჰქცევიან ქმრებსა, ვიდრე კაცები: ქალების სურვილით 2,733 განქორწინება მომხდარა, ხოლო კაცებისა 1,848 მარტო 1886 წლის განმავლობაში. შვილიანებს შორის უფრო ხშირია ასეთი უბედურება უშვილოებზე: პირველებში 2,479, მეორეებში — 2577. ქალაქს ადგილს უფრო ვერა რიგდებიან ცოლ-ქმარნი ერთმანეთში. ამ განქორწინებათა მიზეზი ყოფილა: უდიერად მოქცევა (3626 შემთხვევაში), ქალის ღალატი (827), კაცის ღალატი (299), სასამართლოს გარდაწყვეტილებით (134).

— პარიჟში ახალის ყაიდის გლახა გამოჩენილა. ეს გლახა განათლებული და მეცნიერი კაცია თურმე და ამიტომ მოპირდაპირისა არ ეშინიან. იგი ჯერ კიდევ უმაწვილი კაცია, ყოველ დილა კე თილშობილთა მიერ დასახლებულს ქუჩებში დადის და მუშტრებს ეძებს. უმაწვილს კაცს ყოველთვის კარგად და სუფთად აცვია და საკბილო კაცს რომ დაინახავს, შემდეგის სიტყვებით მიუბრუნდება ხოლმე: „ხომ არა გნებავთ, მოწყალეო ხელმწიფევ, მკითხოთ რამე იმ ზავის ხელ-შეკრულობათა მიზეზებსა და შედეგზე, რომელიც-კი საფრანგეთის ისტორიაში მოხსენებული ნაპოლეონ III-მდე, აგრეთვე გაიგონოთ დღე და საათი, როცა ეს ხელ-შეკრულობანი დაუმტკიცებიათ. ან იქნება ისა გსურთ, რომ იცოდეთ წელი, დღე და საათი რომელისამე ისტორიაში გამოჩენილის ადამიანის სიკვდილისა: იმპერატორებისა, მეფეებისა, გენერლებისა, პოეტებისა, მხატვრებისა და ორატორებისა“. უმაწვილს კაცს მაშინვე ჰკითხავენ ხოლმე რასმე და ისიც შეუცდომლივ პასუხს აძლევს. ამას შემდეგ ეს ახირებული გლახა სთხოვს, რომ მიწყალობეთ რამე, რადგან საჭმელი არა მაქვს-რაო. ყველა მნახველნი ჯიბეებს პირსა ხსნიან და ასაჩუქრებენ მეცნიერს მათხოვარს. ესეც დროს ნიშანი!

## გაზეთიდან

ოდესაში ახირებული ამბავი მომხდარა: ბოთლიდგან არაყი გაპარულა. მომრიგებელ-მოსამართლეს ერთის სასტუმროს პატრონისათვის შვიდის თუმნის ჯარიმად გამორთმევა გაუჩენია იმის გამო, რომ ამ სასტუმროს პატრონს წყალ-ნარევი არაყი უყიდნია და უსაღებია. ამ არაყით სავსე ბოთლი პოლიციაში წაუღიათ ნიმუშად და დამამტკიცებელ საბუთად. ვერნიკი, სასტუმროს პატრონი, არ დაკმაყოფილებულა მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენით და მოსამართლეთა კრებასთან უჩივლია. კრებას არაყის ნახვა მოუნდომნია, მოუტანიათ დაბეჭდილი ბოთლი და უნახავსთ, რომ ბეჭედაულებლივ არაყი სადღაც გაპარულა. პოლიციიდგან გამოუგზავნიათ აგრეთვე უწყება, რომელშიაც მოხსენებული ყოფილა, რომ „ბოთლს არაყი გაედინაო“. კრებას მოსამართლეთას დაუმტკიცებია სასამართლოს გარდაწყვეტილება და დაუდგენია, რომ არაყის გაპარვის ამბავი ოდესის ქალაქს უფროსს მოხსენდესო.

**

მარტო ჩვენი ფოსტა არა ყოფილა უკეთური, განუგეშებთ ამ მხრივ დატანჯულს ჩვენს მკითხველებს, რომელნიც ხშირად, ფოსტის წყალობით, ორს დღეში ერთხელ და ერთს გაზეთს ღებულობენ და ან ექვსის თვისა და წლისა ერთბაშად მიადგებათ ხოლმე კარებზე.

ჟენევის გაზეთები ამბობენ, რომ წარსულს ხუთშაბათს ძლივს მოვიდა თავისს ადგილას გაზეთის ერთი ნომერი, რომელიც ფოსტაში შეუტანიათ გასაგზავნად თითქმის ამ ასის წლის წინად. საქმე შეეხება „Gazette Uuiverselle“-ს, 1791 წლისას, რომელსაც ორი პ.რი ბანდეროლი ჰქონია და ზედ წერებულა: „ბ-ნს ს... მარუში, ვერზუისა და შე ცარიის გზით“. ეს ნომერი ამ დღეებში უპოვნიათ ფოსტის ძველსა და ნაყარს ქაღალდებში. რა თქმა უნდა, რომ არც წარსულის საუკუნის ფოსტა ყოფილა სწორე და მართალი. ჟენევის ფოსტის საქებრად ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ფოსტამ, იპოვნა თუ არა ეს ნომერი, მაშინვე გაჰგზავნა დანიშნულებისამებრ. რასაკვირველია, ამ ნომერს გაზეთისას თითონ გამომწერი ვეღარ მიიღებდა, რომლის ძვლები 98 წლის განმავლობაში ფერფლად იქცეოდა კიდეც, ხოლო ერთმა იმის მემკვიდრეთაგანმა-კი ჩაიბარა. ეს მემკვიდრე შვილის-შვილის-შვილი აღმოჩნდა გაზეთის დამბარებელისა.

# დეპეშა

27 ივნისი

პეტერბურგი. ფინლიანდიიდგან იუწყებიან, რომ 24-ს ივნისს საიმპერატორო იახტას „ცარევნას“, რომელიც ესობის ყურეში იდგა, ფინლიანდიის ერი დიდის ამბით მიეგება. ხალხი მიდიოდა „ცარევნის“ სანახავად ვემბით, ნავებით და მიესალმა იმათ უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას. ხალხი აღტაცებით იძახოდა „ურას“. იახტაზე ავიდა ფინლიანდიის სტუდენტების მგალობელთა გუნდი, რომელმაც იმათ უდიდებულესობათა წინაშე იგალობა რამდენიმე საგალობელი. იმათ უდიდებულესობათ მიართვეს თაიგულები ცოცხალის ყვავილებისა, რომელიც გლეხებს დაეკრიფათ ნიშნად ერთგულებისა. 11-ს საათზე ხალხი დაიშალა.

ბერლინი. როგორც სტამბოლიდგან იწერებიან, უფრისმა ერზერუმის კორპუსისამ ნუზრეთ - ფაშამ აცნობა თურმე სულთანს, რომ ჩემი ოფიცრები და ჯარის-კაცები, თუ ჯამაგირი არ მიეცემათ, რუსეთში აპირებენ გადასვლასაო. ამიტომაც გადასწყვიტეს ნუზრეთ-ფაშა გადაიყვანონ ბაღდადში, ხოლო ნუზრეთ-ფაშამ ეს ბრძანება არ შეასრულა და ამიტომ დატუსაღებულ და გაგზავნილ იქმნა ერზერუმში.

ფილიპოპოლი. ამ დღეებში ორმოც-და-ათი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა რკინის გზის სადგურს ბელოვოს, აღმოსავლეთის რუმელიაში. ამ ბრბომ დაიკავა სადგური, წავიდა უკანვე და თან წაიყვანა ორი ავსტრიელი, რკინის გზაზე მოსამსახურენი, და კიდევ ოთხი კაცი. ამ ბრბოს უკან ცაედევნა ჯარი.

28 ივნისი

პეტერბურგი. ლეიპციგიდამ სწერენ დეპეშით გაზეთებს: გერმანიის უმთავრესმა სასამართლომ გადასწყვიტა, რომ სანავთო წარმოების ამხანაგობას, „ძმათა ნობელთა“ სახელ-წოდებისას, ნება არა აქვს გამოერიცხოს საკუპონო ბაჟი იმ აქციების მოგებიდამ, რომლის პატრონებიც გამუდმებით სცხოვრობენ რუსეთის გარეშეო.

მოსკოვი. სექტემბრისთვის დანიშნულია განხილვა ტულის ქალაქის ბანკის გაკოტრების საქმისა. ამ ბანკს ი. სუშკინის სახელი ერქვა. ბრალდებული რვა კაცია.

ვისბადენი. სეირნობის დროს პრინც ალექსანდრე ბატენბერგს ცხენები დაუფრთხნენ, დაჰქანდნენ ღელმართზე და ხრამში გადაცვივდნენ. პრინცი გადავარდა თითქმის ექვსის საჟენის სიმაღლიდამ, ჩამოეკიდა ბუჩქს და მხოლოდ ოდნავ დაშავდა.

ეპისკოპოსი დიმიტრი კვლავ უკან დაბრუნდა აქედამ, რადგან სერბიის დედოფალმა არას გზით არ მოინდომა იმისი ნახვა ეპისკოპოსმა მხოლოდ ორი ბარათი მისწერა დედოფლის მამიდას, კნეინა მურუზის; კნეინა მურუზი დღეს წავიდა მაინის ფრანკფურტში, სადაც უნდა მოელაპარაკოს რუსეთის უფროსს კონსულსა.

პარიჟი. რუსეთის ელჩი მორენჰეიმი მივიდა შაბათს ვილლერ-სიურმერში. ხალხი რუსეთის პატივის საცემლად დიდის ამბით მიეგება.

გუშინ მარსელში კრება იყო. კრებაზე ჩხუბი მოხდა და ჩხუბის დროს მრავალნი დამსწრენი დაშავდნენ.

რენეში ხალხმა უსტვინა გენერალს ბულანჟეს.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივნისი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 169¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 273 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 248½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საერთო-ერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ(1888)წე ლიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელ წადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი. კათოლ. იგივე. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა ზილ ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—35. მთვარე 3 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. კრება თორმეტთა მოციქულთა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ლიუციანესი. სომეხ. წამ. სააკისა და იოსებისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქუთაისში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1875 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ღვაში 1-ლის ხარისხისა . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | „ |
| მე-3 — . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადება

მომავალ 1889 წლის

საქართველოს კალენდარში.

ფასები:

ერთი გვერდი ღირს—4 მან., ნახევარი—2 მან., მეოთხედი გვერდი—1 მან.

მაურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში ექვთიმე ხელაძეს, ფოთში ბესარიონ კალანდაძეს და ქუთაისში ძმ. ჰილაძეთა.

გამ. გუნია

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მცველი**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage - Magazin in Leipzig. (50—24)


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.